

**გიგა ქაფუშაძე,
ლიანა ჭყონია**

**მუჰაჯირ ქართველთა ენობრივი და
ეთნიკური იდენტობის საკითხები**

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად აჭარა საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა. აჭარაში მცხოვრები მუსულმანი ქართველების ერთი ნაწილი კი სამშობლოდან გადაიხვეწნენ. ქართველების მასობრივად გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში ომის დამთავრებისთანავე დაიწყო იმიტომ, რომ რუსეთს სჭირდებოდა ქართული მიწა ქართველების გარეშე, ოსმალეთს კი – იაფი მეომარი და მიწის მეურნე – მუშახელი (ტ. ფუტყარაძე, 2015: 27).

ნაწილი ისტორიული ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე ცხოვრობს, ნაწილი კი მუჰაჯირობის შედეგად არის გადასახლებული და მთელი თურქეთის ტერიტორიაზეა გაბნეული. ქართველები არიან ბურსაში, ანკარაში, უნიეში, ორდუში, სამსუნში, სინოპსა თუ სტამბოლში.

თურქულ ენობრივ ველში ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობებში მუჰაჯირთა დიდ ნაწილს დღემდე აქვთ შენარჩუნებული ქართული ენა და ტრადიციები, თუმცა, ბუნებრივია, სხვადასხვა ენის, მრწამსის, ტრადიციების მქონე ქართველი და თურქი ხალხების მრავალწლიანი ურთიერთობა აისახა არა მხოლოდ მუჰაჯირ ქართველთა სოციალურ თუ ეთნოგრაფიულ ყოფაზე, არამედ მათ მეტყველებაზეც. რამდენადაც ტრაგიკული და მწარეა ისტორია ქართველი მუჰაჯირების აყრისა და გასახლებისა, იმდენადვე მრავალფეროვანი და საყურადღებოა მათი ენობრივი და ეთნიკური იდენტობის გამოხატვის ფორმები.

მუჰაჯირი (Muhacir) არაბული სიტყვაა და ნიშნავს: „ახალმოშენე, გადმოსული, გადმოსახლებული, ემიგრანტი, გაქცეული“. ქართველ მუჰაჯირთა პრობლემატიკას ბევრი მკვლევარი შეეხო.

როგორც ცნობილია, მუჰაჯირობის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი იყო ოსმალეთის იმპერია, რომელიც ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი ხალხი აეყარა და გაესახლებინა ოსმალეთში რუსეთის მიერ დაკავებული იმ ტერიტორიებიდან, რომელიც მაშმადიანებით იყო დასახლებული. შ. მეგრელიძე თავის გამოკვლევაში მიუთითებს, რომ „ეს ხალხი მას სჭირდებოდა ჯარის გასაძლიერებლად, დაპყრობილ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასაქრობად, მუდმივი ომებით, სხვადასხვა ტომთა ურთიერთდარბევებითა და ხოცვა-ჟლეტით შეთხელებული მცირე აზიის მოსახლეობის შესაფხვანად, რუსეთის მოსაზღვრე რაიონების საიმედო ელემენტით დასასახლებლად“ (შ. მეგრელიძე, 1964: 4).

თანამედროვე თურქეთი მრავალეთნიკური რესპუბლიკაა. იგი მრავალი ეთნოსის შერევის შედეგადაა წარმოქმნილი: მათ ისეთი სახელმწიფო შექმნეს, რომელშიც ყველა ეთნოსის წარმომადგენელი თურქად მიიჩნევა თავს, რათა თავიდან აეცილებინათ მუდმივი დაძაბულობა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს შორის. ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკურობისა, ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის უნდა ებრძოლა, მათ შორის ეთნიკურ

ქართველებსაც. ათათურქის გამონათქვამი რომ მოვიშველიოთ, „თურქეთში მცხოვრები ყველა მოქალაქე არის თურქი“.

მუშაჯირებით დასახლებული უნიეს, ორდუს, სამსუნისა და სინოპის რეგიონები, ისევე როგორც თურქეთის სხვა რეგიონების უმეტესობა, მრავალეთნიკურია. აქ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ცხოვრობენ. როგორ გამოაცალკევებენ ეთნიკური ქართველები თავიანთ თავს სხვებისგან, რა ლექსიკური ერთეულები დასტურდება მათ მეტყველებაში ეთნიკური და ენობრივი იდენტობის გამოსახატავად?! ეს საინტერესოა, რადგანაც, როგორც ჯ. ფიშმანი მიუთითებს, „ჩვენი ცოდნა საკუთარი იდენტობის შესახებ არ არის ინვარიანტული, მაგრამ იცვლება შემთხვევიდან შემთხვევამდე“ (ე. ფიშმანი, 1999: 153).

2015 წლის აგვისტოს თვეში მოწყობილი ექსპედიციის მიზანიც მუშაჯირ ქართველთა სხვა ეთნიკური ჯგუფებისგან ენობრივი ნიშნით გამოცალკევება და მათი თვითშეგნების ასახვა იყო.

ეთნიკურ ქართველებში, ჩვენი დაკვირვებით, გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. ეთნიკური ქართველები, რომლებიც ყოველთვის მიუთითებენ თავიანთი ქართული წარმომავლობისა და ენის შესახებ. ეს კი ყველაზე არსებითი და ძვირფასია მათთვის;

2. ეთნიკური ქართველები, რომელთათვისაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა რელიგიას (მაჰმადიანურს) ენიჭება, მაგრამ აღნიშნავენ, რომ არიან გურჯები;

3. ეთნიკური ქართველები, რომლებიც ასიმილირებულნი არიან თურქულ ეთნოსთან და მათთვის უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ეთნიკურ წარმომავლობას. თუმცა კი, რიგ შემთხვევაში, ამყობენ ამით, ყოველ შემთხვევაში ქართული წარმომავლობის დამაღვას არ ცდილობენ (ი. ლუტიძე, 2016: 58).

შდრ. ტ. ფუტკარაძე: „ქართველური წარმომავლობის ადამიანები, რომლებიც ფლობენ დედაენის ერთ რომელიმე კილოს (იმერხეულს, აჭარულს, ტაოურს, ლივანურს...), მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ ეთნოკულტურულ (ყოფით) მახასიათებლებს და საკუთარ თავს გურჯს უწოდებენ; მიუხედავად ამისა, რელიგიური და ენობრივი სხვაობის გამო, ესენი საკუთარ გურჯობას არ აიგივებენ ქართველობასთან: კერძოდ, შიიზმევენ, რომ საქართველოს ქართველები სხვა კულტურისა და ენის მფლობელნი არიან; აღიარებენ მათთან ნათესაობას, მაგრამ არა იგივეობას; აცხადებენ, რომ მათ არ ესმით საქართველოს ქართველთა ენა“ (ტ. ფუტკარაძე, 2015: 37).

ქართულის ცოდნის თვალსაზრისით შემდეგი ჯგუფები შეგვიძლია გამოვყოთ:

1. 80 წელს გადაცილებული ქალები (მათი რაოდენობა დიდი არ არის, ან ჩვენ მათთან კონტაქტი ვერ მოვახერხეთ), რომელთაც ცუდად იციან თურქული ენა და ძირითადად ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. ქალები უმთავრესად ოჯახში საქმიანობდნენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას არ იღებდნენ. ზემოაღნიშნული ასაკის ადამიანებისთვის ქართული პირდაპირი და გადატანილი მნიშვნელობითაც მშობლიური ენაა;

2. 75-80 წლის ეთნიკური ქართველები, რომელთაც ცხოვრება სოფლებში აქვთ გატარებული, ძირითადად ქართულად ლაპარაკობენ. მათი თავშეყრის ნებისმიერ ადგილას სასაუბრო ენა მხოლოდ ქართულია, თურქულს იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან უხდებათ ურთიერთობა

ან კიდევ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იღებენ მონაწილეობას რაიმე ფორმით. ამათგან გარკვეულ ნაწილს სკოლაშიც არ უვლია გასაგები მიზეზების გამო;

3. 60-75 წლის ეთნიკური ქართველები, რომელთაც ცხოვრება სოფლებში აქვთ გატარებული, ძირითადად თურქულად ლაპარაკობენ. მათი თავშეყრის ნებისმიერ ადგილას სასაუბრო ენა მხოლოდ თურქულია, ქართულს იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც საქართველოდან ჩასულ სტუმრებთან უხდებიათ ურთიერთობა. ამ ფაქტის გამო გაკვირვება ვერ დავმალეთ და რესპონდენტს ორდუს ერთ-ერთ სოფელში შევეკითხეთ; როცა აქ ყოფნის განმავლობაში ერთმანეთში ძირითადად თურქულად საუბრობთ. ჩვენთან კი - ქართულად, მაინც როგორ მოახერხებთ, რომ ქართული, მისი გამოყენების ძალიან მცირე სიხშირის მიუხედავად, მაინც შეინარჩუნეთ? ამ შეკითხვაზე ერთმა მათგანმა გვიპასუხა, რომ „ქართული დედის ენაა და მისი დავიწყება არ იქნების“-ო.

4. 35-60 წლის ეთნიკური ქართველები, რომელთაც განათლება თურქულ ენაზე აქვთ მიღებული. ეს ნაწილი მიუთითებს, რომ თურქული ენა მხოლოდ სკოლაში წასვლის შემდეგ ისწავლეს, რაც მათ პრობლემებს უქმნიდათ, ძირითადად, ქართული ფონემატური სტრუქტურისათვის უცხო, თურქული ხმოვნითი ბგერების ვერწარმოტქმის გამო;

5. რაც შეეხება ეთნიკურ ქართველებს 35 წელს ქვემოთ, აქ შემდეგი ქვეჯგუფები შეიძლება გამოიყოს:

ა) ახალგაზრდები საუბრობენ ქართულად და ერთმანეთთან ურთიერთობა ქართულ ენაზე მათთვის პრობლემა არ არის;

ბ) ჯგუფი, რომელსაც ქართულად საუბარი უჭირს;

გ) ესმის, რასაც ეუბნებიან, მაგრამ ვერ ლაპარაკობს;

დ) არ ესმის ქართულად არც ერთი სიტყვა და, შესაბამისად, ვერც ლაპარაკობს;

ე) ჯგუფი, რომელმაც ქართული 18 წლის შემდეგ ისწავლა.

საუკუნეების მანძილზე სამწიგნობრო ქართულს დაშორებულ მუშაჯირ ქართველთა მეტყველება საინტერესოა როგორც საკუთრივ გრამატიკული, ასევე ლექსიკური თვალსაზრისითაც. თურქული ენის გავლენა მეტ-ნაკლებად ყველა სფეროში შეიმჩნევა: ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სინტაქსში, ლექსიკაში... თურქული ენობრივი ელემენტების მოძალემა განსაკუთრებით ლექსიკაში იგრძნობა.

მუშაჯირ ქართველთა მეტყველება ძალზე საინტერესო სურათს ხატავს სწორედ სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით.

წარმოვადგენთ ზოგიერთ მათგანს:

1. შერეფე არის, მაგრამ საქართველომდე არ არის „საღლეგრძელო არის, მაგრამ ისე არა, როგორც საქართველოში“.
2. ლაზებთან ვართ, მაგრამ მეტი კარგად არა „ლაზებთან ვმეგობრობთ, მაგრამ არც ისე კარგად“.
3. ვინ მოკტაო? - ვინმე არ მოკტაო „ვინ მოკვდაო? - არავინ მომკვდარაო“.
4. ისიც ლაპარაკი იცის „მანაც ლაპარაკი იცის“.
5. თეთრი მატარებელი ამდგარა ბათომიდან „თეთრი მატარებელი გასულა ბათუმიდან“.
6. ქალის უკან ღარჭებთანაც ქართულათ დეილაპარაკოფს „ქალის გარდა ბავშვებთანაც ქართულად ლაპარაკობს“.

7. მეზობლის ერთზე ცხენი მუუთხოვია „ერთი მეზობლისათვის ცხენი უთხოვებია“.
8. გუშინ დილით თიფლისიდან ავდექი, დღეს დილით აქა ამოვედი „გუშინ დილით თბილისიდან გამოვემგზავრე, დღეს დილით აქ მოვედი“.
9. იქა პოეტებთან შევხვდით „იქ პოეტებს შევხვდით“.
10. ვინცხადან რო სოფას შექამ, იმის შვილს შიიყვარებ? „ვინც ჯოხით გცემს, მის შვილს შეიყვარებ?“
11. ძალიან ქართული არ ვიცი „ქართული კარგად არ ვიცი“.
12. მე ცოლი გამოვაქციე „ცოლი მოვიტაცე“.
13. თოფები დუუთესლიმეთ „თოფები ჩავაბარეთ“.
14. დღეს რო კაცი მოკტება, მეორე დღეს ავწევთ, ჩავფლავთ „დღეს რომ კაცი მოკვდება, მეორე დღეს დავასაფლავებთ“.
15. მაგენმა ქამეს დეპორტი „ისინი დაადეპორტეს“.
16. იმ კაცის ცოლი რა ქართველია, რა რუსია, რა თურქია, ამერიკელია „იმ კაცის ცოლი არც ქართველია, არც რუსია, არც თურქია, ამერიკელია“.
17. ქართველმა ქალებმა მე გამარეზილეს „ქართველმა ქალებმა მე შემარცხვინეს“.

„თანამედროვე თურქეთის ენობრივ-კულტურულ მოზაიკაში გამოკვეთილად საინტერესოა ქართული წახნაგი, მაგრამ თურქეთში მცხოვრები ქართველების ენასა და ეთნიკურ კულტურას გაქრობის საფრთხე ელის და მისი გადარჩენისათვის დიდი ძალისხმევაა საჭირო“ (ტ. ფუტყარაძე, 2015: 37).

გაანალიზებულმა მასალიდან ჩანს, რომ მუჭაჯირთა ქართულში, თურქული სალიტერატურო ენისა თუ დიალექტების გავლენის შედეგად, აღმნიშვნელისა და აღსანიშნის დონეზე კალკური გადართვა სპონტანურად ხდება, რის შედეგადაც ვიღებთ სიტყვათა სემანტიკურ ცვლილებებს... სამეტყველო კოდთა შერევით განპირობებულ ფორმათა სემანტიკური განსხვავებულობა-თავისებურებათა საფუძველი კი მუჭაჯირ ქართველთა სრული ბილინგვიზმია.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- ბ. დორიანი, 1999 – N. C. Doran, linguistic and ethnographic fieldwork – language and ethnic identity, edited by Joshua A. Fishman, New York, Oxford, Oxford University Press, 1999.
- რ. თოფჩიშვილი, 2005 – რ. თოფჩიშვილი, ეთნოისტორიული ეტიუდები, I, თბ., 2005.
- ნ. კახიძე, 2008 – ნ. კახიძე, მუჭაჯირობის ასახვა ქართულ პრესაში (გაზეთ „დროებაში“ აჭარაზე დაცული ცნობების მიხედვით), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, II, ბათუმი, 2008.
- შ. მეგრელიძე, 1963 – შ. მეგრელიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1963.
- მ. ტაბიძე, 2005 – მ. ტაბიძე, ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბ., 2005.
- ჟ. ფიშმანი, 1999 – J. A. Fishman, sociolinguistics – language and ethnic identity, edited by Joshua A. Fishman, New York, Oxford, Oxford University Press, 1999.

- ტ. ფუტყარაძე, 2015 - ტ. ფუტყარაძე, ქართული ენა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი: პრობლემები, პერსპექტივები, საშეცნ. ჟურნ. ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, IV, თბ., 2015.
- ი. ლუტიძე, 2016 - ი. ლუტიძე, ქართველები თურქეთში - ენობრივი ვითარება, თბ., 2016.
- ზ. ჭიჭინაძე, 1912 - ზ. ჭიჭინაძე, ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში - მუჰაჯირ-ემიგრაცია, ტფ., 1912.
- გაზ. „ღროება“, 1880, №100; 1882, №38.

GIGA KAMUSHADZE, LIANA CHKONIA

ONLINGUISTIC SITUATION AND ETHNIC IDENTITY OF MUHAJIRUN GEORGIANS

The Muhajir Georgians, co-existing across the Turkish linguistic landscape for a significant amount of time, have maintained both their traditions and the Georgian language to the present day. However, a gradual change occurs and the Georgian and Turkish languages, in particular, and cultures, in general, undergo interference.

The centuries-old relationship between the Georgian and Turkish peoples with different language, religion and traditions had its impact not only on the social and ethnographic life of Muhajirs, but also on their speech.

As a result of long-term co-existence with the Turkish linguistic space, today almost all of the Muhajirs (except for the elderly) are fluent in the state language, i.e. Turkish which, normally, is also a language of instruction. Turkish is quite often used in families and in everyday life. Their speech demonstrates all of the five major sub-types of Code-Switching. In this paper, we emphasize the Calque switching, in particular, the way how spontaneously lexical and grammatical calques occur in a) language / dialect (Georgian), b) by the influence of language / dialect (Turkish).

For the purposes of analysis proposed are the dialect materials recorded in different villages of Imerkhevi (Saija Yeni (Ordu Viliety), Erpekli, Lala (Sinop), Unie, Therme, etc.) during the expeditions organized by Akaki Tsereteli State University in 2015.

We will discuss some of the samples to illustrate the mixing of the speech codes: Sherefe is, but to Georgia up is not; we are with Laz people but not more than well; Yesterday morning I got up from Tiplisi, I came here this morning.

The analyzed material presented by the proposed article revealed that in the Georgian of the Muhajirs, as a result of the impact of Turkish literary language and dialects, Calque switching occurs spontaneously, on a level of the signifier and the signified, leading to a semantic change in words.

The complete bilingualism of the Muhajir Georgians provides the basis for semantic specificities/features of forms developed by Speech code mixing .